პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 62 (9153)
30 მარტი
კვირა,
1986 წ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან ● ფასი 3 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანზორ კიკნაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ჭაბუკთა I საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში

თორმეტიდან — შვიდი

თბილისის ტურნირში მონაწილე 15-17 წლის სპორტსმენები, ცხადია, ჯერჯერობით მაღალი სპორტული შედეგებით თავს ვერ მოიწონებენ, ოსტატობაშიც საგრძნობლად ჩამორჩებიან უფროს კოლეგებს, მაგრამ ჭაბუკთა სპორტსაც ჰყავს თავისი ჩემპიონები და ლიდერები. მაგალითად, ახმეტელ დავით ბაგაურს თანატოლთა ორი საკავშირო პირველობა და ათამდე ტურნირი აქვს მოგებული, შარშან ჭაბუკთა პირველ საკავშირო თამაშებზეც გაიმარჯვა და პერსპექტიული მოჭიდავის სახელიც დაიმკვიდრა.

ოლეგ რატიანი



დავით ბაგაური

საქართველოს გუნდს პირველი ოქროს მედალი სწორედ ბაგაურმა მოუტანა. იმ დღეს მასპინძლებმა ყველაზე მეტი — 19 ძიუდოისტი გამოიყვანეს ტატამზე, დილის შეხვედრების შემდეგ 15 მათგანი აგრძელებდა ბრძოლას, საბოლოოდ კი მედალი 7-მა მიიღო. დიახ, 3 წონით კატეგორიაში გათამაშებული 12 მედლიდან 7 საქართველოში დარჩა, ჩინებული დასაწყისია.

დავით ბაგაური 83 კგ წონით კატეგორიაში გამოდიოდა, ამ წონაში გადაინაცვლა ჭაბუკთა პირველი საკავშირო თამაშების კიდევ ერთმა ჩემპიონმა, დუშელმა ალექსი ძავაშვილმა. სპეციალისტები ვარაუდობდნენ, რომ ფინალში სწორედ ეს სპორტსმენები გავიდოდნენ. ფინალი „ქართული" კი გამოდგა, მაგრამ გადამწყვეტ შეხვედრაში ბაგაურის პირისპირ საგარეჯოელი ალექსი მირზაშვილი დადგა (მირზაშვილმა მეოთხედფინალში ძავაშვილი დაამარცხა). ეს ბრძოლა ბაგაურმა საგრძნობი უპირატესობით მოიგო. საერთოდ, ახმეტელი ფალავანი ერთი თავით მაღლა იდგა მეტოქეებზე. საკმარისია ითქვას, რომ ბაგაურმა სამ მეტოქეს ვადაზე ადრე აჯობა, თანაც რეკორდულ დროში — 9 წამში დაამარცხა იტალიელი რობერტო ასპიგო.

თბილისის სპორტის სასახლეში მისულ მაყურებელს თავი დაამახსოვრა ოლეგ რატიანმაც (75 კგ). სამი წინასწარი შეხვედრა მესტიელმა სპორტსმენმაც წმინდად მოიგო, დამაჯერებლად გაიმარჯვა მეოთხედფინალურ და ნახევარფინალურ ბრძოლებშიც, ფინალში კი 1 წუთსა და 11 წამში აჯობა საკავშირო ნაკრების წევრს ალგიმანტას მარკიავიჩუსს. ამ წონაში კარგად იჭიდავა საგარეჯოელმა კობა თათრიშვილმა, რომელსაც ბრინჯაოს ჯილდო გადაეცა.

მძიმე წონის მოჭიდავეთა შორის ფავორიტად ასახელებდნენ ქარელელ ზაზა დაბრუნდაშვილს. ამ სპორტსმენმა ერთი თვის წინ იუნიორთა საკავშირო პირველობაში გაიმარჯვა და სპეციალისტთა ყურადღება მიიპყრო. ამჯერად დაბრუნდაშვილმა ვერცხლის მედალი მოიპოვა. ფინალში მას ტაშკენტელმა მაჰომედ შადიევმა მოუგო. კარგი შთაბეჭდილება დატოვა ქუთაისელმა დავით ხახალეიშვილმაც, რომელმაც კვარცხლბეკის მესამე საფეხურზე დაიკავა ადგილი.

კვარცხლბეკი

75 კგ. 1. ო. რატიანი (საქართველო), 2. ა. მარკიავიჩუსი, 3. ა. აკოფჯანიანი (ორივე — სსრკ) და ქ. თათრიშვილი (საქართველო).

83 კგ. 1. დ. ბაგაური, 2. ა. მირზაშვილი, 3. ა. ძავაშვილი (სამივე — საქართველო) და რ. შატაევი (სსრკ).

+83 კგ. 1. მ. შადიევი (სსრკ), 2. ზ. დაბრუნდაშვილი, 3. დ. ხახალეიშვილი (ორივე—საქართველო), მ. გრიზე (გდრ).

გუშინ მედლებისთვის იბრძოდნენ 62 და 68 კილოგრამი წონითი კატეგორიის მოჭიდავეები. კვლავ წარმატებით იასპარეზეს ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა. 62 კგ წონაში ბადალი არ ჰყავდა ვლადიმერ დგებუაძეს, რომელმაც დამაჯერებლად სძლია ყველა მეტოქეს და ოქროს მედალი მოიპოვა. ასეთივე წარმატებას მიაღწია ზურაბ ონიანმაც (68 კგ).

ტურნირი დღეს დამთავრდება. ტატამზე გამოვლენ 57 და 53 კგ წონის ძიუდოისტები.

გუშინ თბილისში გაიმართა უმაღლესი ლიგის რეგბისტთა 23-ე საკავშირო ჩემპიონატის თბილისის ქვეჯგუფის სამი მატჩი.

„ლოკომოტივის" სტადიონზე ქუთაისის „მშენებლისა" და მოსკოვის „სლავას" მატჩი დამთავრდა მოსკოველთა გამარჯვებით — 23:9 (7:3).

თბილისის „ლოკომოტივისა" და ლენინგრადის „პრომორეცის" შეხვედრაში ანგარიშით 18:12 (9:6) გაიმარჯვეს თბილისელებმა.

ლვოვის „სოკოლისა" და კრასნოიარსკის „ექსკავატორტიაჟსტროის" შეხვედრა (მატჩი გაიმართა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტადიონზე) დასრულდა კრასნოიარსკელთა გამარჯვებით — 18:3 (9:3).

კენტაუში მოასპარეზე გუნდების მეორე ტურის შეხვედრები ასე დასრულდა: მოსკოვის „ლოკომოტივი" — ტირასპოლის „ელექტრომაში" — 15:9 (6:6), სსა — კიევის „ავიატორი" — 8:7 (4:0), ალმა-ათის ასკ — მოსკოვის „ფილი" — 18:6 (12:6).

ელვა-ინფორმაცია

ოში (ყირგიზეთი). აქ დამთავრდა საკავშირო შეჯიბრება მოტოკროსში, რომელშიც ციმბირის, ურალის, ამიერკავკასიისა და შუა აზიის უძლიერესი სპორტსმენები მონაწილეობდნენ. ვაჟთა შორის გამარჯვება ტაშკენტელმა გ. ბოჩკაროვმა მოიპოვა. ქალთა შორის კი უძლიერესის სახელი თბილისელმა გ. ლოგინოვამ დაისაკუთრა. გუნდური გამარჯვება ტაშკენტის ოლქის მოტოკროსმენებს ხვდათ.

SOS

მოხდა აღმაშფოთებელი ფაქტი. საქართველოს პირველობის დებულების უხეში დარღვევით, მატჩი რესპუბლიკის პირველობაზე ხაშურის „ივერიასა" და გორის რაიონის „ქართლს" შორის, რომელიც გუშინ ხაშურში უნდა გამართულიყო, არ შედგა.

რესპუბლიკის სპორტკომიტეტმა არაერთხელ გაატარა რადიკალური ღონისძიებები რესპუბლიკის პირველობის გათამაშებაში წესრიგისა და დისციპლინის განსამტკიცებლად. არაერთგზის მკაცრი მითითების და გაფრთხილების მიუხედავად, საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველომ და პირადად მისმა უფროსმა გიორგი ბაქანიძემ სათანადო დასკვნები ვერ გააკეთა, ვერ გარდაქმნა მუშაობის სტილი, კვლავ გრძელდება სამმართველოს მუშაკთა თვითნებობისა და დებულების გვერდის ავლით ყოვლად გაუმართლებელი გამონაკლისის დაშვების ფაქტები. ყოველივე ეს გარკვეულ წილად ჩრდილს აყენებს მთლიანად რესპუბლიკის სპორტკომიტეტს.

მიმდინარე წლის თებერვალში საქართველოს სპორტკომიტეტის კოლეგიამ კიდევ ერთხელ მკაცრად იმსჯელა ფეხბურთის სამმართველოს მუშაობის მანკიერ სტილზე და გორის რაიონის გუნდის ერთ-ერთი მატჩის გადატანისთვის საყვედური გამოუტანა გიორგი ბაქანიძეს. ამჯერად კვლავ განმეორდა ანალოგიური შემთხვევა — ხაშურის წარმომადგენლებს გორის რაიონის გუნდთან წლევანდელი გათამაშების პირველი შეხვედრის გადატანის ნება დართეს, რაშიაც აშკარად მოჩანს ფეხბურთის სამმართველოს საეჭვო დაინტერესება. ამ ფაქტმა ერთხელ კიდევ დაადასტურა სამმართველოს უპრინციპობაზე საზოგადოებრივი აზრის სისწორე, რაზედაც ამას წინათ „ლელომ" წერდა.

საქართველოს სპორტკომიტეტის გადაწყვეტილებით:

ფეხბურთის სამმართველოს უფროსს გიორგი ბაქანიძეს გამოეცხადა სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით. მასვე დაევალა უახლოეს პერიოდში საფუძვლიანად გარდაქმნას სამმართველოს მუშაობა. სპორტკომიტეტის ხელმძღვანელობამ მკაცრად დასაჯა აგრეთვე ყველა მუშაკი, რომლებსაც ბრალი მიუძღვით ხაშურისა და გორის რაიონების გუნდების მატჩის გადატანაში.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ლიგა

„დინამო" თბილისი — „შახტიორი" დონეცკი — 1:0.

V ტურის სხვა მატჩები ასე დამთავრდა: „დნეპრი" — „დინამო" მნ. — 1:0; „ჩერნომორეცი" — „დინამო" კ. — 1:4; „დინამო" მ. — „ტორპედო" მ. — 0:0; „ნეფთჩი" — „ზენიტი" — 1:1.

ნორჩ კალათბურთელთა საკავშირო პირველობა

ასაკსაც უნდა გავუწიოთ ანგარიში

ნორჩ კალათბურთელთა საკავშირო პირველობის დასასრულის მოახლოებისას მონაწილეებს, ცხადია, უკვე გაუარათ სასტარტო მღელვარებამ და თამაშიც უფრო საინტერესო, შინაარსიანი გახდა, ბრძოლის დაძაბულობა და სიმწვავე კი თანდათან იზრდებოდა...

— მაინც რით განსხვავდება ამ ჭაბუკების თამაში თქვენი და თქვენი თანატოლების თამაშისგან? — ვკითხეთ საქართველოსა და ლიტვის გუნდების შეხვედრის დამთავრების შემდეგ შეჯიბრების მუდმივ მაყურებელს, ცნობილ კალათბურთელს გივი ბიჭიაშვილს.

— განსხვავება ძირითადად ფიზიკურ მომზადებაშია — თქვა მან. — ჩვენ ასეთ ტემპში თამაში გაგვიჭირდებოდა. საერთოდ, მჭიდრო პრესინგი, რომელსაც ახლა ჭაბუკები ხშირად მიმართავენ, მოთამაშისგან დიდ ძალასა და ენერგიას მოითხოვს. ადრე თამაში უფრო თავისუფალი, „ღია" იყო. ახლა ახალგაზრდა მოთამაშეები ხშირად იყენებენ დასწავლულ კომბინაციებს, ქმნიან სტანდარტულ სიტუაციებს. ეს ერთის მხრივ კარგია, მაგრამ მწვრთნელმა არ უნდა დაივიწყოს, რომ 14-15 წლის ბავშვებთან აქვს საქმე და რთული დავალებებით თავი არ უნდა გამოუტენოს. ჩვენს მწვრთნელებს ამაში ზომიერება გამოუჩენიათ, გუნდს რამდენიმე მარტივი, მაგრამ ეფექტური კომბინაცია აქვს შემუშავებული, რასაც წარმატებითაც იყენებს. ჩვენი მოთამაშეების არათანაბარი თამაში კი მათივე ასაკით უნდა აიხსნას. ლიტველებთან შეხვედრის დასაწყისში მათ სწრაფი თამაშის წყალობით მიაღწიეს უპირატესობას, მაგრამ სისწრაფე და აჩქარება სხვადასხვა მცნებებია. როდესაც მოწინააღმდეგე დაცვისათვის მომზადებულია, ბურთი უფრო საგულდაგულოდ უნდა გაათამაშო. ჩვენი ბიჭები კი ზოგჯერ გაუმართლებლად ჩქარობდნენ და პირველი ტაიმიც ალბათ ამიტომ წააგეს.

მეორე ტაიმში, განსაკუთრებით მის მეორე ნახევარში საქართველოს ნაკრების წევრებმა გვიჩვენეს, რომ პოზიციური თამაშიც შესძლებიათ. გუნდი უფრო ხშირად პოულობდა კომბინაციების ლოგიკურ გაგრძელებას. განსაკუთრებით კარგად ბოლო წუთებში ითამაშეს და ჩემის აზრით, დამსახურებულად გაიმარჯვეს კიდეც.

გივი ბიჭიაშვილის ნათქვამს ჩვენის მხრივ დავუმატებთ, რომ საქართველოს ნაკრებს ლიტველებთან მართლაც ძნელი ბრძოლა გადახდა. პირველი ტაიმი თბილისელებმა 5 ქულით წააგეს — 37:42.

მეორე ტაიმში, და საერთოდ იმ დღეს ძალიან კარგად ითამაშა ჩვენმა გამთამაშებელმა (№7) დავით თორთლაძემ. განსაკუთრებით ლამაზი გახლდათ მისი და ჩვენი ცენტრალური თავდამსხმელის გათამაშებული კომბინაცია, როდესაც ეს უკანასკნელი შეუფერხებლად იღებდა ბურთს მეტოქის ფარქვეშ. შეხვედრის მიწურულს თორთლაძემ რამდენიმე სამქულიანი ტყორცნა განახორციელა, რამაც ფაქტიურად გადაწყვიტა კიდეც შეხვედრის ბედი — 89:85.

ამრიგად, 3 ტურის შემდეგ შეჯიბრებას ერთპიროვნულად ლიდერობდნენ საქართველოსა და რსფსრ-ის ნაკრებები. საფიქრებელი იყო, რომ ლიდერთა მატჩი მეტად საინტერესო იქნებოდა.

გუშინ საქართველოს ნაკრებმა ტურნირის გადამწყვეტ შეხვედრაში დაამარცხა რსფსრ-ის გუნდი — 107:102 (60:46) და პირველი ადგილი მოიპოვა. მესამე ადგილზე ლიტველი კალათბურთელები გავიდნენ, რომლებმაც მოლდაველ თანატოლებს სძლიეს 77:44 (40:24). მოსკოველებმა გაიმარჯვეს უკრაინის ნაკრებთან შეხვედრაში — 101:86 (56:35).

გარდასულ დღეთა ამბები

ქართული სპორტის ისტორია, განსაკუთრებით რევოლუციამდელი პერიოდი, ერთობ ღარიბია ფაქტობრივი მასალებით, ამიტომ ყოველ ახალ ცნობას, ახალ ამბავს დიდი გულისყურითა და ინტერესით ვეკიდებით. ხშირად ვღებულობთ მკითხველთა წერილებს — გვთხოვენ ესა თუ ის ფაქტი, მოვლენა, ამბავი შეძლებისდაგვარად უკეთ გავაშუქოთ, ცოცხალი საარქივო მასალებით გავამდიდროთ.

მკითხველთა ერთ ჯგუფს დიდი ხანია აინტერესებს ცნობილი ქართველი ფალავნის ნესტორ ესებუას ცხოვრების დეტალები. ამ ლეგენდარული პიროვნების შესახებ ერთობ მწირი მასალა მოგვეპოვება. რამდენიმე საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი გლდანელისა და ესებუას პაექრობიდან, ნესტორ ესებუას მიმოწერა „ივერიის" რედაქციასთან, ერთი ორი ანეგდოტად ქცეული ამბავი, რომელთა სისწორის დადგენა დღეს თითქმის შეუძლებელია — ეს არის და ეს.

მაგრამ ზოგჯერ კაცს ბედი გაუღიმებს. ამ დღეებში სრულიად მოულოდნელად ცნობილი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის იოსებ იმედაშვილის ერთ საინტერესო მოგონებას წავაწყდით — 30-იანი წლების ჩვენს პრესაში იმედაშვილი მოგვითხრობს ნესტორ ესებუასა და მღვდელ ჯინორიძის კონფლიქტის შესახებ, რომელიც თურმე 14 წელიწადს გრძელდებოდა და მხოლოდ რევოლუციის შემდეგ 1919 წელს მოგვარებულა, როცა მღვდელი უკვე მკვდარი იყო.

გთავაზობთ ამ საინტერესო მოგონებას ოდნავ შემცირებული სახით:

„...მღვდელი გვარად იყო ჯინორიძე. მღვდლობდა ს. სორტაში (სორტა ესებუას მშობლიური სოფელია). ესებუამ იგი გაკრიჭა ს. სორტას ეკლესიის ეზოში და ყელზე თოკშებმული ჩამოატარა მთელი ხალხის თანდასწრებით. ამის გამო ხალხი ორ ჯგუფად გაიყო: ღარიბი გლეხობა ნესტორ ესებუას მიემხრო, სოფლის შეძლებული ხალხი — მღვდელ ჯინორიძეს. გაიმართა კეტაობა ორივე მხარეს. კეტებით და ჰიგოებით ერთმანეთს დაეტაკნენ. ნესტორი ვისაც ხელს გაკრავდა ან წიხლს, ფეხზე ველარ ჩერდებოდა. მოხდა არაჩვეულებრივი ამბავი.

ამ ამბის გამო, მღვდლის ჯინორიძის სიძემ — ბოქაულმა ირაკლი ახვლედიანმა ნესტორ ესებუა ახალ სენაკის ციხეში ჩაასმევინა. იმ ხანებში ნესტორს ციხეში უფროსი შვილის მოკვლის ამბავი მოუტანეს. გაჯავრებულმა ნესტორმა ციხის კარი გამოამტვრია. დააწყნარეს — მისი შვილის მოკვლის ამბავი ტყუილი გამოდგა.

თბილისიდან გავლენიან პირთა მეცადინეობით ნესტორი ორი თვის შემდეგ ციხიდან გაანთავისუფლეს.

მღვდელმა ჯინორიძემ ამის შემდეგ ნესტორის მოკვლა გადაწყვიტა. ამ საქმის შესასრულებლად ფულით მოისყიდა ვინმე გრიგოლია, როგორც ტერორისტი და შეუჩინა. აღთქმული ფულის ნახევარი 500 მან. წინდაწინ მისცა, ხოლო, როცა მოკლავ 500 მან. კიდევ მოგცემო. გრიგოლიაც ჩაუსაფრდა თავის მსხვერპლს. მზეტანებზე ესებუაც მიადგა კარს. მოსყიდულმა ტერორისტმა გრიგოლიამ ნესტორი რომ შენიშნა, საფარიდან ამოვარდა, გადაეხვია და უთხრა: ამ საზიზღარის ჩაგონებით აი ვინ უნდა მომეკლაო. რევოლვერი გასცალა, ნესტორს აუხსნა რა მიზეზითაც იყო ჩასაფრებული, — აქ დამიცადე, ახლავე მოვალო, — გრიგოლია მღვდელთან გაქანდა, ჟამბო ნესტორის მოკვლაზე, მეორე ხუთასი მანეთიც გამოართვა და ნესტორი ქუთაისს წაიყვანა, სადაც მთელი კვირა აქეიფა.

რაკი ამითაც ვერ მოსპო ნესტორ ესებუას ხსენება, მღვდელმა თავისი ძროხა მოიპარა, მეზობელ სოფელში ბასა ხარებავას მიაბარა და უთხრა, — როცა ბოქაულმა შეპყრობილი კაცი მოგიყვანოს და გკითხოს, ეს ძროხა ამ კაცმა მოგაბარა თუ არა, შენ ხელი დაადე როგორც ქურდსა. ბასა ხარებავა დათანხმდა. მეორე თუ მესამე დღეს ბოქაულმა ბასა ხარებავას შეპყრობილი ნესტორ ესებუა წაუყენა წინ, ხალხში შერეული — აბა, აბა, ვინ მოგიყვანა ძროხაო — ჰკითხა. ხარებავამ ხალხი შეათვალიერა, ხელი ვერავის დაადო. ბოქაული შეეკითხა ნესტორ ესებუაზე მითითებით: ნაქურდალი ძროხა ამან მოგიყვანა თუ არა? — გაოცებულმა ბასა ხარებავამ მიუგო: როგორ გეკადრებათ ეს ხომ ჩვენი განთქმული კაცია, დიდი ფალავანი, ეგ რად მომიყვანდა ძროხასო, — რა ხანია ეს კაცი ჩემს კარზე კი არა ამ სოფელშიც არ მინახავსო.

მღვდლის ოინი აქაც ჩაიფუშა და გამომჟღავნდა. გლეხი ბასა ხარებავას შვილი რევოლუციონერი იყო, მამისაგან ყოველივე იძია და მღვდლის ბოროტი საქმიანობა რომ შეიტყო, მღვდლის ოჯახი აიკლო და მოკვლას უპირებდა. მაგრამ შეიპყრეს და ციხეში ჩასვეს, სადაც იგი გარდაიცვალა.

მღვდელს ჯინორიძეს კვლავ მისი სიძე ბოქაული ირ. ახვლედიანი წამოეშველა: ნესტორი ქუთაისში შეიპყრო და ციხეში ჩაასმევინა, სადაც ნესტორმა 25 დღემდე დაჰყო. ამ ხნის განმავლობაში მღვდელმა ჯინორიძემ ყაზახ-სტრაჟნიკებით ჩამოუარა და გლეხებში ნარბევები მოჰკრიფა — ლოგინი, სამოვრები, ჰურჰელი და სხვა ავეჯი ურმით ერთ ადგილას დააგროვა და საჯაროდ ეპირებოდა გაყიდვას. ნესტორი ციხიდან გამოუშვეს. ეს ამბავი რომ შეიტყო ქუთაისის გუბერნატორთან გაქანდა, რომ ნარბევები გლეხებისათვის დაებრუნებინა. გუბერნატორმა მღვდლის მხარე დაიჭირა, გამოვიძიებო. ნესტორმა ბევრი აღარ იფიქრა. გუბერნატორის სახელით დეპეშა გაუგზავნა მაზრის უფროსს. მღვდლისაგან ჩამორთმეული ნარბევები გლეხებს დაუბრუნეთო. რამოდენიმე ხნის შემდეგ მაინც ნესტორმა მოახერხა და გუბერნატორის ასეთი ნამდვილი მიწერილობა მიუტანა მაზრის უფროსს.

მღვდელმა ჯინორიძემ სიძის დახმარებით ცეცხლი მოუკიდა ნესტორ ესებუას სახლს, ყაზახები შეუსია, ააკლებინა და ვენახიც გააჩეხინა, როგორც მთავრობის მოწინაალმდეგე კაცისა.

ნესტორმა რომ ველარ ჩამოიშორა მღვდლის მხრივ ასეთი დევნა, მღვდელს ჯიბეში დასტა პროკლამაციები ჩაუყარა და ციხეში ამოაყოფინა თავი, სადაც. მღვდელი თავისი სიძით ექვსი თვე იჯდა.

მღვდლის სიძე ირაკლი ახვლედიანი, მეფის ნაბოქაულარი ხალხის რისხვას მაინც ვერ გადაურჩა. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე მეორე დღეს ბათუმში მოკლეს.

ნესტორ ესებუას სახელთან კიდევ ბევრი საზოგადოებრივ-რევოლუციონური და გმირული ამბავია დაკავშირებული".

ვინ იცის, მალე იქნებ ამ ამბების მთხრობელიც გამოჩნდეს. რედაქცია ყველა შემოწმებულ ცნობას შეინახავს და გამოაქვეყნებს.



სურათზე: საჭიდაო წრე ძველ სენაკში (გასული საუკუნის 80-იანი წლები). მარჯვნივ ნესტორ ესებუა, მარცხნივ — უცნობი მოჭიდავე.

მოკრივეები სიღნაღში იზრდებიან

ის დღე დიდხანს ემახსოვრებათ ამ ბიჭებს. ხუმრობა საქმე ხომ არ იყო — სპეციალური ავტობუსით ჩამოიყვანეს თბილისში და ნამდვილ რინგზე მოუწყეს შეხვედრა. მასპინძლებმა — „ბურევესტნიკის" ბავშვთა და მოზარდთა კრივის სპორტსკოლის აღსაზრდელებმა სამახსოვრო საჩუქრები გაცვალეს თანატოლებთან. ერთმანეთს მიესალმნენ მათი მწვრთნელებიც — სიღნაღელი დავით ნონიკაშვილი და ბურევესტნიკელთა აღმზრდელი იოსებ წინამძღვრიშვილი. ნორჩი სტუმრები IX საქალაქო სპარტაკიადის მოკრივეთა ტურნირის ფინალური შეხვედრების მოწმენიც გახდნენ და კმაყოფილებიც დარჩნენ...

ყოველგვარ დებიუტს დიდი მღელვარება ახლავს თან, გამონაკლისი არც ნორჩ სიღნაღელთა გამოსვლა ყოფილა. მათ ხომ ფრიად კომპეტენტური ჟიური ჰყავდათ თვით ანდრო ნავასარდოვის თავკაცობით, რომელმაც საქალაქო სპარტაკიადაზე იმსაჯა.

სხვათა შორის, სიღნაღელები სულაც არ ჰგავდნენ დილეტანტებს. ნორჩები კარგად მოძრაობდნენ რინგზე (სწორი კოორდინაცია კრივში ძალზე ბევრს ნიშნავს). გამარჯვებისკენ დიდი სწრაფვა და ხასიათის სიმტკიცეც გამოიჩინეს.

სიღნაღელი თამაზ მევლუდიშვილისა და ბურევესტნიკელი არამ ამოევის შეხვედრა ფრედ დამთავრდა. ვასილ ხმალაძე ედგარ ამარჰიანთან დამარცხდა. მომდევნო ორ შეხვედრაში სტუმრებმა — გია მოსულიშვილმა და კახაბერ თარაშვილმა დაამარცხეს გრიგორ ამირიანი და როლანდ ინანიშვილი... ამხანაგური შეხვედრის საერთო ანგარიშია 5:4 მასპინძელთა სასარგებლოდ.

...ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ კრივის დიდმა თაყვანისმცემლებმა — დოსაფის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარემ დ. ნონიკაშვილმა და გაზის კანტორის ზეინკალმა ბ. ხატიაშვილმა (ორივე ყოფილი მოკრივეა) გადაწყვიტეს თავიანთ ქალაქში ნორჩთათვის კრივის სექცია გაეხსნათ, რამაც ბიჭებში დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია და აი, დღეს სექციაში, რომელსაც პროფკავშირის სპორტულ კომპლექსში ერთი არცთუ დიდი ოთახი გამოუყვეს, 40 ჭაბუკი ვარჯიშობს.

მართალია, აქ ჯერ ყველაფერი წესრიგში არაა, მარტო ის რად ღირს, რომ ხელთათმანების და ინვენტარის ნაკლებობასაც განიცდიან და არც რინგი აქვთ, მაგრამ ახალგაზრდული ენთუზიაზმი და ბრძოლის ჟინი ბევრს შეაძლებინებთ. ჩვენც იმედი დავიტოვოთ, რომ საქართველოს სპორტკომიტეტის სპორტის გამოყენებითი სახეობის სამმართველო დახმარების ხელს გაუწვდის ნორჩ მოკრივეებს.

ა. უნგიაძე.

მოკლედ

ტურისტულმა ბილიკებმა დაამეგობრა

ვანის პიონერთა სახლთან არსებული მხარეთმცოდნეობის, ფოტო და ტურისტული წრეების წევრებმა ლაშქრობა მოაწყვეს „კატრებზე".

ტურისტული წრის ხელმძღვანელმა რ. კაჭკაჭაშვილმა, ციხესულორის რვალწიანი სკოლის უფროსმა პიონერხელმძღვანელმა ლელა დიასამიძემ და რუსული ენის მასწავლებელმა მარიკა ერემეიშვილმა მოსწავლეებს გზადაგზა უამბეს ამ კუთხის ისტორიული წარსულის შესახებ. დაბანაკების შემდეგ გაიმართა ასპარეზობები ჭადრაკში, შაშში; ბავშვებმა ძალა გამოსცადეს „ჭაობისა" და მდინარის გადალახვაში.

ამ ლაშქრობის სიკეთე ისიც იყო, რომ მან რაიონის სხვადასხვა სკოლების მოსწავლეები ერთმანეთს გააცნო და დააახლოვა.

მურთაზ პირველაშვილი.
„ლელოს" კორესპონდენტი.

ვანი.

კვლავ ახმიანდა საჭიდაო

გამოზაფხულდება თუ არა, ლაგოდეხის რაიონის სოფელ ლელიანში „საჭიდაო" ახმიანდება ხოლმე. სოფლის ხელმძღვანელობის (კოლმეურნეობის თავმჯდომარე ა. კახათელიძე) და ფიზკულტურის მეთოდისტის გ. ღვალაძის თაოსნობით აქ სისტემატურად იმართება საინტერესო შეჯიბრებები ქართულ ჭიდაობაში, რომლებშიც მეზობელი რაიონების ფალავნებიც მონაწილეობენ.

...გასულ შაბათს ლელიანის ძველი ეკლესიის ეზოში ლამის მთელმა სოფელმა მოიყარა თავი; მოეწყო ახალი სეზონის პირველი შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში. ნახერხმოყრილ სარბიელზე 60-მდე წყვილი გამოვიდა, მკლავისა და მუხლის ძალა მოსინჯეს ახალბედა ფალავნებმაც და ჭიდაობის ვეტერანებმაც. გვიანობამდე გაგრძელდა ფიცხელი ორთაბრძოლები. გამარჯვებულებმა სამახსოვრო პრიზებთან ერთად მაყურებელთა ტაშიც დაიმსახურეს. ყველაზე ტექნიკურ მოჭიდავეებად აღიარეს აფენელი (ლაგოდეხის რაიონი) იმედო ბუცხრიკიძე და ახალსოფლელი (ყვარლის რაიონი) ვაჟა დუბოვსკი.

რაჟდენ გაბრიჭიძე.

ავტორის ფოტოები.



ფიქრები ხმამაღლა

ცდუნება...

საგაზეთო თემას ზოგჯერ სრულიად მოულოდნელად გადაეყრება კაცი. უცნაური, კურიოზული ფაქტი ძალაუნებურად კალამს აგალებინებს ხელში.

ამჯერად კუთხურობის მავნე სენის ერთ გამოვლინებაზე შევჩერდებით, რომელმაც სამწუხაროდ, კარგა ხანია ფეხბურთშიც იჩინა თავი. მოახლოვდა თუ არა ფეხბურთში საქართველოს პირველობის დაწყების დრო, მაშინვე მთელი სიმძლავრით ამოქმედდა კავშირგაბმულობის თუ კავშირურთიერთობის ყველა საშუალება. უწყვეტ ნაკადად იწყო დენა თხოვნის თუ მოთხოვნის წერილებმა და დეპეშებმა, გადაიტვირთა სატელეფონო ხაზები, დაიწყო საქმის მოსაგვარებლად და საკითხის სასურველ დონეზე გადასაწყვეტად გავლენიანი ნაცნობ-მეგობრების შეწუხება. რაღა არ ახლავს თან ამ ოფიციალურ მომართვებს: ცნობილი, ავტორიტეტული ადამიანების თუ რაიონული თავყრილობების მონაწილეთა შუამდგომლობები, პოზიციის გასამაგრებლად წარსულში ამა თუ იმ გუნდში აღზრდილ სპორტსმენთა სიები და ა. შ.

არ დავმალავთ: ყველაფერი ეს შეზავებულია ერთგვარ „დიპლომატიურ“ ხერხებთან. მრავალი რამ, თითქოს, გამომდინარეობს ამა თუ იმ რაიონის საზოგადოებრივი ინტერესებიდან, მაგრამ როცა ყველაფერი ეს თავს ერთ საქაღალდეში იყრის, საერთო ჯამში, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, ერთობ შემაწუხებელ შთაბეჭდილებას ტოვებს. თუ რატომ, ამაზე ქვემოთ მოგახსენებთ.

საქართველოს პირველობა ფეხბურთში ყოველწლიურად დიდ ინტერესს იწვევს. და ეს არცაა გასაკვირი. ფეხბურთი ჩვენში უსაზღვროდ უყვართ, ჩვენი მომავალი ოსტატები რესპუბლიკურ პირველობაში იწრთობიან. კაცმა რომ თქვას, ცუდი არაფერია იმაში, რომ ყველა ცდილობს თავის რეგიონში ყურადღება არ მოაკლოს ფეხბურთს, მაგრამ ცუდი და მიუღებელი ის გახლავთ, რომ ძირითადად დაუმსახურებლად, პროტექციით ვცდილობთ ჩავრთოთ ესა თუ ის გუნდი საქართველოს პირველობის გათამაშებაში — აქაოდა, პრესტიჟული სახეობაა, რესპუბლიკაში გამოვჩნდებითო. იმას კი ვივიწყებთ, რომ შემოვლითი გზით, ხრიკებით დიდ ფეხბურთამდე ვერ მივალთ და რაც მთავარია, საქმე ისაა, რომ ეს არც არის საჭირო.

წელსაც ბევრმა თხოვნამ მოიყარა თავი რესპუბლიკის სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოში. კითხულობ ჩვენი ქალაქებიდან და რაიონებიდან გამოგზავნილ ოფიციალურ წერილებს და გიკვირს: თუკი გუნდი არ იმსახურებს ითამაშოს საქართველოს პირველობაში, ასე თავგამოდებით რატომ ვცდილობთ გავვიკეთონ გამონაკლისი, დაარღვიონ დებულება? განა დაუმსახურებელი შეღავათი სარგებლობას მოუტანს რომელიმე გუნდს, საერთოდ ჩვენს ფეხბურთს?

ერთი უპრეცედენტო გამონაკლისის გარდა, ჯერ არ გვახსოვს შემთხვევა ვინმეს ეღიარებინოს, გუნდი ამა და ამ ლიგაში თამაშს არ იმსახურებს და ჩვენი შესაძლებლობების შესაბამის ჯგუფში ჩაგვრთეთო. არადა, ასეთი გუნდები ხომ არიან? დიახ, საერთო ფონზე მახარაძელთა გადაწყვეტილება სწორედ რომ გონივრულია. მახარაძის რაიონის ახლანდელმა ხელმძღვანელობამ პრინციპული გადაწყვეტილება მიიღო — ადგილობრივი „მერცხალი“, რომელიც შარშან საბჭოთა კავშირის პირველობის გათამაშების მეორე ლიგაში გამოდიოდა, წლევანდლიდან საქართველოს პირველობაზე პირველი ლიგის დასავლეთის ზონის კოლექტივებთან ერთად ითამაშებს, რადგან გუნდის შესაძლებლობები არ შეეფერება უფრო მაღალ მოთხოვნებს. ვფიქრობთ, სწორედ ესაა პატრიოტული დამოკიდებულება საერთოდ საქმისადმი.

ახლა ისიც ვნახოთ, წელს ვინ რას ითხოვს და როგორ ითხოვს.

ჭიათურა საკითხს აყენებს იმის შესახებ, რომ „მაღაროელი“, რომელიც გამოეთიშა საქართველოს ჩემპიონატის პირველი ჯგუფის გათამაშებას, კვლავ დარჩეს ამ ჯგუფში. ქარელის რაიონის „მეშაქრეს“ საქართველოს პირველობაზე მეორე ჯგუფში გამოსვლის პრეტენზია გაუჩნდა. „როგორც გამონაკლისი“, პირველ ჯგუფში თამაშის უფლებას ითხოვს მაიაკოვსკის „საირმე“. კვლავ პირველ ჯგუფში ითხოვს დაბრუნებას ლაგოდეხის „ჰერეთი“, ასე სურთ ახმეტის „ბახტრიონს“ და ხობის „კოლხეთსაც“.

არის სხვა თხოვნაც. მაგალითად, მცხეთის რაიონი მოითხოვს არც მეტი, არც ნაკლები, თბილისელმა ფეხბურთელებმა ითამაშონ რაიონის გუნდის შემადგენლობაში... დებულების გვერდის ავლით შეეცადნენ ზუგდიდის დინამოელთა რიგებში იმ ფეხბურთელის დაბრუნებას, რომელიც ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე ხობის „კოლხეთში“ გამოდიოდა. დებულება ყველასათვის კანონია, მაგრამ აჭარიდან მაინც დაჟინებით მოითხოვენ, რა თქმა უნდა, „როგორც გამონაკლისები“, ფეხბურთელების ერთი გუნდიდან მეორეში გადაყვანის ნებართვა მივცეთ...

როცა აი, ამ შინაარსის არზებს ვეცნობით, ჩვენი ყურადღება მიიპყრო იმან, რომ რესპუბლიკის ცალკეული რეგიონების ხელმძღვანელები სპორტის არც ერთ სხვა სახეობას არ წყალობენ ისე, როგორც ფეხბურთს. არადა, ადგილებზე ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობაში უამრავი [illegible] მათ კი პრობლემად მხოლოდ ფეხბურთი გაუხდიათ.

დაბოლოს, ისიც გვინდა ვთქვათ, რომ ზოგიერთი რაიონის ფეხბურთელთა გუნდის მთავარი ამოცანაა როგორმე თავისი რეგიონის მეზობელ გუნდს აჯობოს, როგორმე მათ გაუსწროს, მეზობლებიც, რასაკვირველია, თავიანთ მხრივ ასე ფიქრობენ და აი, მეტწილად შინ, თავის მოედანზე თითქმის ყველა იგებს თამაშს, სტუმრად კი მარცხდება. გამარჯვების მისაღწევად მასპინძლები არ ერიდებიან არაფერს, საძრახის საქციელსაც კი. ცხადია, სცოდავენ მსაჯებიც, რასაც ბოლო ხანებში გადაჭრით ებრძვის რესპუბლიკის სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველო და ფედერაცია.

რეგიონალური უწესრიგობა, რა თქმა უნდა, ლოკალურ საზღვრებში არ რჩება, ასე იქმნება საქართველოს პირველობის გათამაშების ირგვლივ არაჯანსაღი ატმოსფერო, ყალთაბანდობა, უწესრიგობა, სიყალბე, რასაც ჩვენი საზოგადოებრივი აზრი ვერასოდეს შეეგუება. ჩვენი კუთხის სიყვარულს სხვა, უფრო ღირსეული საქმით უნდა ვუმტკიცებდეთ ერთმანეთს. ამგვარ დღემოკლე წარმატებას გამოკიდებამ კი მხოლოდ უკან შეიძლება დაგვხიოს. დიახ, ცდუნებამ, იმაზე მეტი გამოვჩნდეთ, ვიდრე ვართ, ზიანის მეტი არაფერი შეიძლება მოგვიტანოს.

სტარტზეა პირველი ლიგა

I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო შეჯიბრება ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევს ჩვენს სპორტულ საზოგადოებრიობაში. იგი რანგით მეორე საფეხბურთო შეჯიბრებაა ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ აქ სისტემატურად გამოდიან ცნობილი გუნდები, რომლებიც არაერთხელ გვიხილავს უმაღლეს ლიგაში, ცხადია, მათი კალენდარული მატჩები შესაფერისი კლასით და დაძაბულობით აღინიშნება.

ლიგის პირველი მატჩი უკვე შედგა კიშინიოვში ადგილობრივ „ნისტრუსა“ და რიგის „დაუგავას“ შორის (გაიმარჯვეს რიგელებმა — 2:1). დღეს შედგება სხვა მატჩებიც: „ფახთაქორი“ (ტაშკენტი) — „პამირი“ (დუშანბე), ასკ „კარპატი“ (ლვოვი) — „დაუგავა“ (რიგა), „ნისტრუ“ (კიშინიოვი) — „ატლანტასი“ (კლაიპედა), „გურია“ (ლანჩხუთი) — ასკ (დონის როსტოვი), „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) — „ყუბანი“ (კრასნოდარი), „როტორი“ (ვოლგოგრადი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი), ცსკა — „ფაკელი“ (ვორონეჟი), „როსტსელმაში“ (დონის როსტოვი) — „კოტაიკი“ (აბოვიანი), „დინამო“ (სტავროპოლი) — „დინამო“ (ბათუმი), „კოლოსი“ (ნიკოპოლი)—„ისკრა“ (სმოლენსკი), „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) — „შინიკი“ (იაროსლავლი).

პირველი ლიგის 24 გუნდიდან ზუსტად ნახევარი — 12 — სხვადასხვა, შორეულ თუ უფრო ახლო წლებში გამოდიოდა უმაღლეს ლიგაში: მოსკოვის არმიელთა კოლექტივი, ვორონეჟის „ფაკელი“, რიგის „დაუგავა“, დონის როსტოვის არმიელთა გუნდი, ლვოვის ასკ „კარპატი“, მოსკოვის „ლოკომოტივი“, იაროსლავლის „შინიკი“, ვოლგოგრადის „როტორი“, ტაშკენტის „ფახთაქორი“, ორჯონიკიძის „სპარტაკი“, კრასნოდარის „ყუბანი“ და კიშინიოვის „ნისტრუ“. ჩამოთვლილთაგან საქვეყნოდ ცნობილია მოსკოვის არმიელთა განთქმული გუნდი, სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი და თასის მფლობელი, რომელიც უკვე მეორე წელია პირველ ლიგაში გამოდის, აგრეთვე, ოდესღაც ცნობილი გუნდები მოსკოვის „ლოკომოტივი“, ტაშკენტის „ფახთაქორი“, დონის როსტოვის არმიელთა გუნდი, კიშინიოვის „ნისტრუ“ და სხვანი.

შარშანდელ სეზონში უმაღლეს ლიგაში დაბრუნების შესაძლებლობა ჰქონდათ ცსკა-სა და რიგის „დაუგავას“, მაგრამ დეკემბერში გამართულ ოთხთა ტურნირში მათ წარმატებას ვერ მიაღწიეს და ისევ „მეორე როლებზე“ დარჩნენ.

პირველი ლიგის პირველი საკავშირო ჩემპიონატი ჩატარდა 1970 წელს, მასში გამარჯვება მოიპოვა ლვოვის „კარპატიმ“, შემდეგ წლებში პირველ ადგილებზე იყვნენ დნეპროპეტროვსკის „დნეპრი“, ოდესის „ჩერნომორეცი“, ალმა-ათის „ქაირათი“, მოსკოვის „სპარტაკი“, ხარკოვის „მეტალისტი“, ვილნიუსის „ჟალგირისი“, რომლებიც ამჟამად უმაღლეს ლიგაში გამოდიან.

წლევანდელ გათამაშებაში პირველი ლიგის რამდენიმე გამოცდილ კოლექტივს რეალური შესაძლებლობა აქვს უმაღლეს ლიგაში გადასასვლელად იბრძოლოს, მაგრამ ამ უფლებას მხოლოდ ორი გუნდი მიიღებს, რომლებიც ლიგაში პირველ-მეორე ადგილებს დაიკავებენ. გადასასვლელი მატჩები წლეულს მათ აღარ ექნებათ.

ჩვენს რესპუბლიკას პირველ ლიგაში ორი წარმომადგენელი ჰყავს — ბათუმის „დინამო“ და ლანჩხუთის „გურია“. ორივე გუნდმა დროულად დაიწყო მზადება ძნელი სეზონისთვის.

ბათუმის „დინამოს“ უფროსია საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ა. კვაჭაძე, უფროსი მწვრთნელი — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ვ. ჩხარტიშვილი, მწვრთნელი — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი — თ. ცინარიძე. ბათუმელთა კოლექტივი წლეულს დატოვეს ესებუამ, ქვანიამ, ცხოვრებაშვილმა, გუნდს დაუბრუნდა ზედანია, მოვიდნენ ახალი ფეხბურთელები კიკლიაშვილი, ათუაშვილი, ხვიტია.

ბათუმის „დინამომ“ ვარჯიში დაიწყო 7 იანვარს, მზადების პირველ ეტაპზე გუნდი საკუთარ მინდვრებზე მეცადინეობდა, შემდეგ ლესელიძის სპორტულ ბაზებზე გაემგზავრა, სადაც რამდენიმე საკონტროლო საწვრთნელი შეხვედრა გამართა. ბათუმელებმა ასეთი მატჩები ითამაშეს ფოთის „კოლხეთთან“, პერმის „ზვეზდასთან“ და სხვა გუნდებთან.

გუნდის საბრძოლო შემადგენლობაში არიან ი. მამინაშვილი, დ. კუცია, ა. გოგიტიძე, ა. ანდღულაძე, ტ. დურდიაძე, გ. ჩიქოვანი, ე. კაკაბაძე, გ. ვერულაშვილი, რ. შელია, მ. მაისურაძე, გ. ბაბუნიძე, გ. კედელაძე, ტ. თორღაშვილი, დ. თვალაბეიშვილი, გ. პაიჭაძე, ა. გორგილაძე, გ. ზედანია, რომლებსაც უკვე აქვთ პირველ ლიგაში თამაშის საკმაო გამოცდილება.

სულ ახლახან ბათუმელმა ფეხბურთელებმა ჩააბარეს ოსტატთა გუნდებისთვის დაწესებული სპეციალური ნორმატივები, უმეტესობამ დამაკმაყოფილებლად ჩააბარა გამოცდა.

ბათუმის „დინამომ“ რვა საკონტროლო მატჩი ჩაატარა, მათგან სამი შინ და ხუთი — ლესელიძეში. ამ თამაშებში კარგად გამოიჩინეს თავი შუა ხაზის მოთამაშეებმა. უდავოა, გუნდს შეუძლია კვლავაც შემართებით იბრძოლოს და წარმატებით გადაწყვიტოს მის წინაშე მდგარი ამოცანები.

პირველ ლიგაში მონაწილეობის კარგი მაჩვენებლები აქვს **ლანჩხუთის „გურიას“**. გუნდის უფროსი მწვრთნელია საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ბ. სიხარულიძე, მწვრთნელი — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი გ. დუნდუა, ხოლო გუნდის უფროსი — შ. პატარაია. ლანჩხუთელთა კოლექტივი წლევანდელ მოსამზადებელ პერიოდში ინტენსიურად მეცადინეობდა თავისი პერსპექტიული გეგმის შესაბამისად. გუნდის შემადგენლობაში არიან გამოცდილი მეკარეები კ. მჭედლიძე და გ. იმნაძე, საიმედოა დაცვის ხაზი — ლ. მელიქია, ბ. დანელია, ს. შევცოვი, ე. თევზაძე, გ. გიგატაძე, დ. სანიკიძე, ა. კონდრატიევი. ნახევარდაცვის შემადგენლობაში გამოდიან თ. ჩხაიძე, გ. გილიგაშვილი, გ. ტყებუჩავა, თ. ებანოიძე, ვ. კოპალეიშვილი, ხოლო თავდასხმაში — დ. უგრელიძე, მ. აკოფიანი, ბ. ფრიდონაშვილი და სხვანი.

ლანჩხუთელებმა მოსამზადებელ პერიოდში 10 საკონტროლო მატჩი ჩაატარეს, იგრძნობა ფეხბურთელთა მონდომება და მობილიზება. 6 იანვრიდან მოყოლებული ლანჩხუთელი ფეხბურთელები შინ ემზადებოდნენ, შემდეგ გამართეს საკონტროლო მატჩებიც, თითოეული ასეთი შეხვედრის შემდეგ მთელი კოლექტივი სერიოზულად, გულდასმით აანალიზებდა განვლილი თამაშის ხარისხს, კოლექტიურად სახავდა ახალ ამოცანებს.

პირველი ლიგის საკავშირო გათამაშება დიდ ინტერესს იწვევს. გულშემატკივრები ახალ წარმატებებს უსურვებენ ჩვენს გუნდებს — ბათუმის „დინამოს“ და ლანჩხუთის „გურიას“.

MEXICO86

ფინალისტები ემზადებიან

მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე დარჩა 68 დღე

ახლოვდება მსოფლიოს XIII საფეხბურთო ჩემპიონატის ფინალური გათამაშება, პლანეტის უძლიერესი გუნდები შეუდგნენ ამ დიდი შეჯიბრების სამზადისის ბოლო ეტაპს.

საყოველთაო ყურადღების ცენტრში იდგა საერთაშორისო ამხანაგური მატჩი პარიზში, სადაც „პარკ დე პრენსის“ სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ საფრანგეთისა და არგენტინის ნაკრები გუნდები.

ფრანგებმა მეტად დამაჯერებლად ითამაშეს და გაიმარჯვეს ანგარიშით 2:0. ბურთები გაიტანეს ფერერომ (მე-15 წუთი) და ვერკრიუისმა (85). საფრანგეთის ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ა. მიშელმა რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელი გამოიყვანა და სწორედ მათ გაიტანეს ის ორივე გოლი. მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთის ნაკრებში ტრავმის გამო თამაში ვერ შეძლო პლატინიმ, მასპინძლები მნიშვნელოვნად ჯობდნენ არგენტინელებს. ეს უკანასკნელნი უმთავრესად თავს იცავდნენ, ერთ-ერთი იშვიათი კონტრშეტევისას, მხოლოდ 25-ე წუთზე, შეძლო მარადონამ საგოლე მომენტის შექმნა, მაგრამ მის მიერ დარტყმული ბურთი ძელს მოხვდა.

უდინეზე. აქ ერთმანეთს შეხვდნენ მსოფლიო ჩემპიონები — იტალიელები და ავსტრიის ნაკრები. პირველ წარმატებას ავსტრიელებმა მიაღწიეს — გოლი მე-3 წუთზე გაიტანა პოლსტერმა, რის შემდეგაც იტალიელები საკმაო ხანს უსისტემოდ, ქაოსურად თამაშობდნენ, განსაკუთრებით სუსტი იყო ცნობილი თავდამსხმელი როსი, რომელიც იტალიელთა მწვრთნელმა ე. ბეარზოტმა შეცვალა. მასპინძლებმა მხოლოდ მეორე ტაიმში იგდეს ხელთ ინიციატივა, ჯერ ალტობელიმ გაიტანა საპასუხო ბურთი, შემდეგ კი დი ჯენარომ წინ გაიყვანა იტალიის ნაკრები — 2:1.

ბელფასტი. ჩრდილოეთ ირლანდიისა და დანიის გუნდების მატჩში ანგარიში მასპინძლებმა გახსნეს: საჯარიმო დარტყმით ბურთი გაიტანა მაკდონალდმა. დანიელებმა შემდგომში აქტიურად ითამაშეს და ანგარიშიც გაათანაბრეს (კრისტენსენი) — 1:1.

აღსანიშნავია, რომ დანიის ნაკრები შესუსტებული შემადგენლობით გამოდიოდა, ვინაიდან უცხოეთის პროფესიულ კლუბებში მოთამაშე დანიელი ფეხბურთელები ამ მატჩზე ვერ ჩამოვიდნენ.

გლაზგო. შოტლანდიელმა ფეხბურთელებმა აქ დიდი უპირატესობით ჩაატარეს მატჩი რუმინეთის ნაკრებთან და გაიმარჯვეს ანგარიშით 3:0. ბურთები გაიტანეს სტრაჩანმა (მე-18 წუთი), გაფმა (27) და ეიტკენმა (80).

შოტლანდიის ნაკრების კაპიტანმა დალგლიშმა ამ დღეს თავისი მე-100 მატჩი ჩაატარა ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში.

მადრიდი. ესპანელმა ფეხბურთელებმა კვლავ წარმატებით ითამაშეს და დიდი ანგარიშით 3:0 დაამარცხეს პოლონეთის ნაკრები, ბურთები გაიტანეს მიჩელმა, კალდერემ და სალინასმა. აღსანიშნავია, რომ მსოფლიო ჩემპიონატისთვის მზადების პერიოდში ესპანეთის ნაკრებმა 5 საერთაშორისო მატჩი ჩაატარა, მათგან 4 მოიგო და ერთი ფრედ დაამთავრა.

* * *

პიკე გვატყობინებს

საზღვარგარეთულ პრესაში გამოქვეყნდა ცნობა იმის შესახებ თუ როდის აპირებენ მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილენი მექსიკაში ჩასვლას. აცტეკების სამშობლოში ყველაზე ადრე — 5 მაისს — ბრაზილიელები და ესპანელები ჩავლენ. მეორე დღეს (6 მაისს) მათ შეუერთდებიან ალჟირელები და ურუგვაელები. სხვა გუნდების განრიგი ასეთია: 10 მაისი — ბელგია, 12 მაისი — ბულგარეთი და პორტუგალია, 14 მაისი — იტალია და სამხრეთ კორეა, 15 მაისი—საფრანგეთი, 18 მაისი—პოლონეთი და არგენტინა, 19 მაისი — უნგრეთი, 21 მაისი — საბჭოთა კავშირი, 24 მაისი — ინგლისი და გფრ, 25 მაისი — ჩრდილოეთ ირლანდია, 26 მაისი — პარაგვაი, 28 მაისი — დანია, 1 ივნისი — შოტლანდია. ერაყის, კანადისა და მაროკოს წარმომადგენელთა ჩასვლის თარიღები ჯერ არ დაზუსტებულა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭადრაკი

საიმედო ცვლის ძიებაში

გუშინ თბილისის ჭადრაკის სასახლეში დამთავრდა საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა 46-ე ჩემპიონატი (უმაღლესი ლიგა). გაგაცნობთ შედეგებს: I. ელიზბარ უბილავა — 9 ქულა, II-III. მიხეილ კრასენკოვი (ბათუმი), გია გიორგაძე — 8,5-8,5, IV. გიორგი ბაღათუროვი — 7,5, V-VI. ნანა იოსელიანი, მიხეილ ჭიპაშვილი — 7-7, VII-IX. გოჩა ტყებუჩავა, დავით ჩაჩიბაია (ორივე — ცხაკაია), გოჩა თორია (ზუგდიდი) — 6-6, X-XI. ხვიჩა სუპატაშვილი (ქუთაისი), იგორ ეფიმოვი — 4,5-4,5, XII. იური ჩიქოვანი — 2,5, XIII. ალექსანდრე ბოკუჩავა — 1.

XIII ტურის გადადებულ პარტიაში გიორგაძემ მოუგო ბაღათუროვს.

თითქმის სამ კვირას მიმდინარეობდა ტრადიციული შეჯიბრება, რომელმაც ჩემპიონი მხოლოდ დასკვნით ტურში გამოავლინა. ეს იმიტომ, რომ უბილავა, რომელიც დიდხანს ლიდერობდა, ფინიშზე მოულოდნელად დამარცხდა (სუპატაშვილთან ეტლი „დასვა“) და მას სერიოზული მეტოქეები (კრასენკოვი, გიორგაძე) გამოუჩნდნენ. მაგრამ მაინც მისთვის ყველაფერი კარგად დამთავრდა. უბილავა გამოცდილი და ერუდირებული მოჭადრაკეა. მისი ახალი წარმატება სავსებით კანონზომიერია. ჩემპიონის ტიტული მან მესამედ (ადრე 1970, 1974 წლებში) მოიპოვა.

23 წლის მიხეილ კრასენკოვი მოსკოვის საჭადრაკო ორგანიზაციის აღზრდილია, ამჟამად ბათუმში ცხოვრობს და აქტიურად მონაწილეობს შეჯიბრებებში. ახალგაზრდა ოსტატმა შვიდი შეხვედრა მოიგო (როგორც უბილავამ).

უბილავამ და კრასენკოვმა (კოეფიციენტთა ცხრილით მას გიორგაძეზე უკეთესი მაჩვენებელი აღმოაჩნდა) სსრ კავშირის 54-ე ჩემპიონატის ნახევარფინალის საგზურები მოიპოვეს.

მეტს გვპირდებოდა 22 წლის გია გიორგაძე (რომელიც კვალში ედგა ლიდერს), ფინიშზე კრასენკოვთან რომ არ დამარცხებულიყო. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ნიჭიერ მოჭადრაკეს შემოქმედებითი წინსვლა ეტყობა.

საუცხოო შთაბეჭდილება დატოვა ბაღათუროვის დინჯმა, ლოგიკურად გააზრებულმა თამაშმა პარტიის ყველა სტადიაში. ასევე ქებას იმსახურებენ მიხეილ ჭიპაშვილი და ახალგაზრდა მზარდი მოჭადრაკეები გოჩა თორია, გოჩა ტყებუჩავა და დავით ჩაჩიბაია. ამ მოჭადრაკეებს ნიჭი და ცოდნა არ აკლიათ, მაგრამ ზედმეტ მოკრძალებას იჩენდნენ ძლიერ მეტოქეებთან. თუმცა როცა ინდომებენ, წარმატებასაც აღწევენ. მაგალითად, თორიას კომბინაცია ეფიმოვთან ნათამაშევ პარტიაში, ჩაჩიბაიას თამამი შეტევა კრასენკოვთან შეხვედრაში ნებისმიერ შეჯიბრებას დაამშვენებდა.

ასე ვთქვათ, „მწვანე“, მაგრამ უდავოდ პერსპექტიული მოჭადრაკეები არიან მოსწავლეები სუპატაშვილი და ლაშა ჯანჯღავა. სუპატაშვილმა ალღო ვერ აუღო შეჯიბრებას, მაგრამ ცალკეულ შეხვედრებში, მაგალითად, ჩიქოვანთან, თვალნათლივ გამოჩნდა მისი ნაკითხობა და ნათელი აზროვნება. მართალია, აუტსაიდერთა შორის აღმოჩნდა, მაგრამ მთავარია გული არ გაიტეხოს. ჯანჯღავას ავადმყოფობამ შეუშალა ხელი. ორივე ჭაბუკს ყველაფერი წინ აქვს, მთავარია ჭადრაკისადმი არ გაუნელდეთ სიყვარული და მეცადინეობის სურვილი არ გაუქრეთ.

მისაბაძი იყო შეჯიბრებისადმი ნანა იოსელიანის დამოკიდებულება. ის ყველა პარტიაში ცდილობდა მაქსიმალურად ჩაწვდომოდა პოზიციას, ჩანაფიქრის ხორცშესასხმელად სწორი გზისთვის მიეგნო. მის აქტივს მრავალი საუცხოო პარტია შეემატა. ვფიქრობთ, დიდოსტატმა ქალმა ნაყოფიერად გამოიყენა წვრთნის საშუალება.

ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ გამოცდილი ოსტატებისა და მწვრთნელების ჩიქოვანისა და ბოკუჩავას შედეგები სწორად ვერ გამოხატავენ მათ ნამდვილ ძალასა და ცოდნას. ისინი ბოლომდე დიდი მონდომებით იბრძოდნენ, მაგრამ სპორტში ასეა — წარუმატებლობისგან არავინაა დაზღვეული.

ერთი სიტყვით, 46-ე ჩემპიონატმა ცხადყო, რომ ჩვენს სახელოვან მოჭადრაკეებს საიმედო ცვლა ეზრდება.

ტურნირის შემოქმედებითი მონაპოვარი უთუოდ მიიქცევს სპეციალისტების ყურადღებას.

თენგიზ გიორგაძე,
ჩემპიონატის მთავარი მსაჯი, საერთაშორისო არბიტრი.

თქვენი სვლაა

ეტიუდი

გია ნადარეიშვილი

საერთაშორისო დიდოსტატი

1951 წ.



თეთრები ყაიმს აღწევენ

„ლელოს“ 23 მარტის ნომერში დაბეჭდილი ვ. გოლუბევის (ურალსკი) ამოცანა ასე ამოიხსნება: 1. e3. 1. ...c4 2. ლa7+ მფb4 3. a3X; 1. ...მფb4 2. a3+ მფc4 (2. ...მფ:a3 3. ლa5X) 3. ლf7X.

სოხუმიდან სამარყანდში

სოხუმში დამთავრდა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბავშვთა სპორტული სკოლების გუნდური პირველობა ჭადრაკში. შეჯიბრების ორგანიზატორებმა მონაწილეებს საუკეთესო პირობები შეუქმნეს შემოქმედებითი თამაშისა და აქტიური დასვენებისათვის (მთავარი მსაჯი გ. ბარამიძე, სოხუმი).

სათამაშოდ შეიკრიბნენ აფხაზეთის (ორი შემადგენლობა), აჭარის, თბილისის განათლების სამმართველოს საჭადრაკო სპორტული სკოლის, ქუთაისის, ზუგდიდის, სამტრედიისა და ცხაკაიას სპორტსკოლების გუნდები (თითოეულში იყო 4 ჭაბუკი და 2 გოგონა).

I ადგილისათვის ბრძოლა, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც თბილისისა და ქუთაისის წარმომადგენელთა შორის გაჩაღდა. თბილისის გუნდმა (იანის პოპოვი, ალექსი ლაზარაშვილი, ბაკური თავაძე, ნათია ჯანჯღავა, მაია ხუციშვილი, მარინე გაგნიაშვილი — მწვრთნელი გია გრძელიშვილი, სპორტსკოლის დირექტორი ჯ. ჯანაშია) თავიდანვე კარგად ითამაშა და თავის ძირითად მეტოქესთან შეხვედრის ყაიმით (3:3) დამთავრების შემდეგ 4,5 ქულით დაწინაურდა. საბოლოოდ, თბილისის გუნდმა 42 შესაძლებლიდან 35 ქულით I ადგილი მოიპოვა. ქუთაისელი მოჭადრაკეები 30,5 ქულით II ადგილზე გავიდნენ. III ადგილზეა აფხაზეთის პირველი გუნდი. მათ შემდეგ მოდიან: ქ. ზუგდიდი — 24 ქულა. ცხაკაია — 19, სამტრედია — 15, აჭარა — 12,5, აფხაზეთის მე-2 ნაკრები — 7,5 ქულა.

ცალკეულ დაფებზე საუკეთესო შედეგები აჩვენეს: პირველზე — სანდრო დგებუაძემ (ზუგდიდი) — 7-დან 6,5 ქულა, მეორეზე — არტემ ტაბარიანმა (სოხუმი) და ერეკლე იოსელიანმა (ქუთაისი) — 5,5-5,5, მესამეზე — შოთა კუჭუხიძემ (ქუთაისი) — 6,5, მეოთხეზე — ნათია ჯანჯღავამ (თბილისი) — 6,5 (ნათია თამაშობდა ჭაბუკთა დაფაზე). გოგონათა პირველ დაფაზე 7-დან 7 ქულა მოაგროვა თბილისელმა მაია ხუციშვილმა, მეორეზე ხათუნა აბრამიძემ (ქუთაისი) — 6. თავი გამოიჩინეს აგრეთვე ცხაკაიელმა რომან სიჭინავამ, ზუგდიდელმა ბადრი ჯაბუამ, აფხაზეთის ნაკრების წევრებმა გიზო კოტუამ და ეკა კიმულარიამ.

სპორტსკოლების მუშაობას რეზერვების მომზადების საქმეში ყოველთვის დიდი როლი ენიჭებოდა. ახლა, როცა ხალხთა და მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადების მონაწილეთა ასაკი შესამჩნევად შეიზღუდა, მათი საქმიანობა კიდევ უფრო მეტად დაფასდა. ამიტომაა გულსატკენი, რომ შეჯიბრებაში მონაწილეობას თავი აარიდეს თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ოლიმპიური რეზერვების ბავშვთა საჭადრაკო სპორტული სკოლისა და გორის სპორტსკოლის ნაკრებმა გუნდებმა.

სოხუმის ტურნირში გამარჯვებული თბილისის ნაკრები (ი. პოპოვი, ა. ლაზარაშვილი, ბ. თავაძე, ს. დგებუაძე, მ. ხუციშვილი, მწვრთნელი გ. გრძელიშვილი) ამჟამად სამარყანდშია (უზბეკეთი), სადაც განათლების სამინისტროს სისტემის სპორტული სკოლების საკავშირო პირველობაში მონაწილეობს.

სულიკო მეგრელიშვილი,
საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მთავარი მწვრთნელი ჭადრაკში.

ეკრანზე და ეთერში

ცენტრალური ტელევიზია. 30 მარტი. რიტმული ტანვარჯიში — 9.40 (1); „სპორტლოტოს“ ტირაჟი“ — 10.20 (1); უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ქალთა საკავშირო ჩემპიონატი; „დინამო“ (ნოვოსიბირსკი) — ტტტ (რიგა) — 19.20 (2); საფეხბურთო მიმოხილვა — 24.00 (1); საერთაშორისო შეჯიბრება ტანვარჯიშში — 24.25 (1).

საქართველოს ტელევიზია. 30 მარტი. „სპორტლოტოს“ ტირაჟი — 10.20; სპორტული გადაცემა — 14.00; სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: „ტორპედო“ (ქუთაისი) — „მეტალისტი“ ხარკოვი) — 18.00; საფეხბურთო მიმოხილვა — 24.00.

საქართველოს რადიო. 30 მარტი. რადიოჟურნალი „ფიზკულტურა და სპორტი“ — 14.30; სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: „ტორპედო“ (ქუთაისი) — „მეტალისტი“ (ხარკოვი) — 19.00.

ინფორმაცია

თავისუფალი ჭიდაობა

კორვალისი (აშშ). აქ სტუმრად მყოფმა საბჭოთა მოჭიდავეებმა (თავისუფალი სტილი) აშშ-ის ეროვნულ ნაკრებთან მეორე ამხანაგური შეხვედრა გამართეს და ამჯერადაც გაიმარჯვეს — 9:1. შეგახსენებთ, რომ ორიოდე დღის წინ მათ ეს გუნდი ანგარიშით 7:3 დაამარცხეს.

მძლეოსნობა

გრაცი (ავსტრია). გაიმართა სტუდენტ მძლეოსანთა მსოფლიო ჩემპიონატი კროსში. ვაჟთა შორის პირველი ადგილი სსრ კავშირის ნაკრებმა დაისაკუთრა. მეორე ადგილზე ჩინელი მძლეოსნები გავიდნენ, მესამეზე კი — ავსტრალიელები. ქალთა შორის გუნდური ადგილები ასეთი თანმიმდევრობით განაწილდა: დიდი ბრიტანეთი, იუგოსლავია და სსრ კავშირი. პირად ჩათვლაში ვაჟთა შორის ავსტრალიელმა სტივენ მონეგეტიმ იმარჯვა, ქალებში კი უძლიერესი ფრანგი ან ვიალი იყო.

ჰოკეი

ეინდჰოვენი (ჰოლანდია). გაისად შვეიცარიის ჰოკეისტთა ნაკრები „ა“ ჯგუფში იასპარეზებს. ეს ცნობილი გახდა მას შემდეგ, რაც „ბ“ ჯგუფის გუნდების ტურნირში შვეიცარიელებმა იუგოსლავიის ნაკრები დაამარცხეს და პირველი ადგილი დაიკავეს.

წყალში ხტომა

სტოკჰოლმი. წყალში მხტომელთა მსოფლიო თასის გათამაშების პირველ დღეს კოშკიდან ხტომაში ქალთა შორის ყველას პენზელმა ალა ლობანკინამ აჯობა — 443,76 ქულა. ვაჟები ამ დღეს ტრამპლინიდან ხტებოდნენ. გაიმარჯვა ვორონეჟელმა ნიკოლოზ დროჟინმა 683,70 ქულა.

ტანვარჯიში

მოსკოვი. ტანმოვარჯიშეთა საერთაშორისო ტურნირში „მოსკოვსკიე ნოვოსტის“ პრიზზე ვაჟთა შორის პირველი ადგილი 15 წლის ალმა-ათელმა მოსწავლემ ვლადიმერ ნოვიკოვმა დაიკავა — 57,30 ქულა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ნოვიკოვი ჯერ სპორტის ოსტატიც არაა.

უძლიერესთა გარეშე

თბილისში, საქართველოს პროფსაბჭოს სპორტნაგებობათა სამმართველოს დარბაზში გაიმართა ქალაქის სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება კრივში. სასპარეზოდ თბილისის 8 რაიონის 44 სპორტსმენი შეიკრიბა.

აღსანიშნავია, რომ ტურნირში მონაწილეობა ვერ მიიღეს თბილისის უძლიერესმა მოკრივეებმა. საქმე ისაა, რომ რამდენიმე მათგანი საკავშირო ნაკრების შემადგენლობაში სხვადასხვა მნიშვნელოვანი შეჯიბრებისთვის ემზადება, ზოგმაც სულ ახლახან ქუთაისში იასპარეზა იუნიორთა საკავშირო პირველობაზე.

თბილისის სპარტაკიადის ჩემპიონის სახელი ორჯონიკიძის რაიონის გუნდმა მოიპოვა — 286,5 ქულა. მეორე იყო ოქტომბრის რაიონი (199), მესამე — საქარხნო რაიონის კოლექტივი (185,5).

პირად ჩათვლაში გაიმარჯვეს: ს. აბაზაძემ (48 კგ), ა. ისახანოვმა (51), დ. კაზიშვილმა (54), გ. ვარდანიანმა (57), ბ. სამხარაძემ (60), გ. სადალაშვილმა (63,5), ვ. ასატუროვმა (67), ქ. კოტოიანმა (71), გ. მუსელიანმა (75), ს. პეტროსიანმა (81), ლ. მარქარიანმა (91), ს. ვარდიკიანმა (+91).

გიორგი მალიძე.

ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი

6 აპრილი

ფეხბურთი

სსრ კავშირის ჩემპიონატი

„დინამო“ (თბილისი) — „მეტალისტი“ (ხარკოვი)

დასაწყისი 18 საათზე

მატჩზე დასასწრები და ლატარიის ბილეთები ორგანიზაციებში გაიყიდება 1 და 2 აპრილს, ხოლო სტადიონის სალაროებში — 1 აპრილიდან (შეფარდებით ერთი ერთზე).

აბონემენტების მფლობელები ლატარიის ბილეთებს შეიძენენ 6 აპრილს 12 საათამდე № 7 სალაროში.

სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოების დეპუტატებს, სამამულო ომის მონაწილეთათვის იმუშავებს № 6 სალარო.

სალაროები ღიაა 10-დან 19 საათამდე (შესვენება 14-დან 15 საათამდე).

ამ გუნდების სათადარიგო შემადგენლობათა მატჩი გაიმართება „ლოკომოტივის“ სტადიონზე 5 აპრილს.

დასაწყისი 17 საათზე.

რედაქტორის მოადგილე
თ. გაჩეჩილაძე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ., 14
დეპეშებისთვის—თბილისი, „ლელო“

რედაქციის ტელეფონები:
სამდივნო — 93-97-52
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53
წერილების განყოფილება — 93-97-55
„მართვე“ — 93-97-27, „მერანი“ — 93-97-26

ჩვენი ინდექსი: 68435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ., 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 უუ 07408